

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის
ბათუმი(აგნისა) ახალციხის საავტომობილო გზის ზარზმის მონაკვეთის(კმ110 -კმ127)
მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების
(პროექტის ფარგლებში ფუჭი ქანების სანაყაროების დამატებით მოწყობის) სკრინინგის
ანგარიში

მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ: ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სატრანსპორტო სექტორის განვითარებას, რადგან მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა აფერხებს სატრანზიტო გადაზიდვების ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(აგნისა) ახალციხის საავტომობილო გზა(S-1), რომლის მთლიანი სიგრძე შეადგენს 159 კმ, გადის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და სამცხე-ჯავახეთის მხარის ტერიტორიებზე. ის ერთმანეთთან აკავშირებს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის(თურქეთის საზღვარი), ხაშური-ახალციხე-ვალე(თურქეთის საზღვარი) და ახალციხე-ნინოწმინდა(სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზებს და მათი მეშვეობით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს და მეზობელ სახელმწიფოებს.

პროექტი დაყოფილია 2 ლოტად: 1. ხულოდან გოდერძის უღელტეხილამდე; 2. გოდერძის უღელტეხილიდან სოფ. ზარზმამდე. მე-2 ლოტის სიგრძე შეადგენს 17.38კმ-ს.


შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (აგნისა)-ახალციხის საავტომობილო გზის გოდერძი-ზარზმას (ლოტი 2) მონაკვეთი გადის გოდერძის უღელტეხილის რთულ ტოპოგრაფიულ-გეოლოგიურ პირობებში. გზის ტექნიკური მდგომარეობა ცუდია და გზა მოითხოვს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. საკვლევი გზის მონაკვეთზე არსებული გზის საფარი ძირითადადში ხრეშიანია, გზის მცირე ცალკეულ მონაკვეთებში საფარი ასფალტბეტონისაა, რომელიც არის გაცვეთილი, დაორმოებული, ნაწიბურები დაზიანებული. გზის სავალი ნაწილი სადრენაჟო სისტემის არ არსებობის გამო ჩახრამულია, დარღვეულია განივი პროფილის ქანობები. საფარის ზედაპირზე აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები და დეფექტები.

წყალგამტარი მიწები მოითხოვს გაწმენდას და აღდგენას, მათი უმრავლესობა უნდა შეიცვალოს ახალი მიწებით. აღსადგენია არსებული ხიდები, მრუდების გასწორების მიზნით საჭიროა გზის ვაკისის ლოკალური წანაცვლება ზოგ ადგილას და 3 ახალი ხიდის მშენებლობა.

აღნიშნული მონაკვეთის ფარგლებში გზის რებილიტაცია-რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს, როგორც ზემო აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარებას, რადგან იგი აკავშირებს ბეშუმის სამთო-სათხილამურო კურორტს ქ. ბათუმსა და ქ. ახალციხესთან.

გოდერძის უღელტეხილი-ზარზმას მონაკვეთის სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „ტრანსპროექტის“ მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული

ხელშეკრულების საფუძველზე. სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო მონაკვეთი იწყება გოდერძის უღელტეხილიდან კმ109+680-დან, გაივლის სოფლებს ლოდიძის, უტყვისუბანს და მთავრდება სოფელ ზარზმასთან 129-ე კმ-ში. მონაკვეთის სიგრძეა 17.380 კმ.



2016 წელს პროექტმა გაიარა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად კანონით გათვალისწინებული პროცედურები. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №-257, 25.05.2016 ბრძანებით შიდასახელმწიფოებრივი

მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) ახალციხის საავტომობილო გზის გოდერძიზარზმის მონაკვეთის (კმ 110 კმ 127) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე დამტკიცდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 26; 24.05.2016 . 2020 წლის 26 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-1097 ბრძანებით პროექტზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2019 წელს, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. პროექტს განახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“.

დაგეგმილი საქმიანობის(ცვლილების) დასაბუთება: პროექტის ფარგლებში სხვა სამუშაოებთან ერთად უნდა განხორციელდეს გზის გაფართოების და შესაბამისი ტრაექტორიის მიცემის მიზნით, ფერდობების ჩამოჭრა, რაც დაკავშირებულია კლდოვანი ნაშალის და ინერტული(ფუჭი) ქანების წარმოქმნასთან. ასეთი ქანების გარკვეული ნაწილის გამოყენება მოხდება უკუყრითი სამუშაოებისათვის, ხოლო ნამეტი მასები, ექვემდებარება განთავსებას. პროექტის ფარგლებში ასეთი ფუჭი ქანების ჯამური მოცულობა შეადგენს 614170მ³-ს.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა) ახალციხის საავტომობილო გზის ზარზმის მონაკვეთის(კმ110 -კმ127) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ცვლილება არ იგეგმება პროექტის ფარგლებში, გზის გაფართოებისათვის მთის ფერდობის ჩამოჭრისას წარმოქმნილი ფუჭი ქანების სრულად განსათავსებლად საჭირო გახდა დამატებით სანაყაროების მოძიება და მოწყობა.

პროექტზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N26, 25.05.2016-ის, მე-9 პირობის („მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნაყარის და სამშენებლო ინერტული მასალების დასაწყობების ზუსტი კოორდინატების წარმოდგენა სამინისტროში“) თანახმად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა ინფორმაცია პროექტის ფარგლებში გამოსაყენებელი სანაყაროების შესახებ. რის პასუხადაც სამინისტროს წერილი №9591/01, 10.09.2021-ით გვეცნობა, რომ „ვინაიდან, პროექტის გზმ-ის ანგარიშში რეკომენდაციის სახით მოცემული იყო სანაყაროს ორი ტერიტორია, ხოლო ამჟამად დაგეგმილია დამატებით 6 სანაყაროს მოწყობა, აღნიშნული წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას.“

პროექტზე მომზადებული გზმ-ს ანგარიშში განხილულია რეკომენდაციის სახით 2 შესაძლო სანაყარო(გვ196-198) და იქვე აღნიშნულია, რომ ნაყარის განთავსების ადგილს საბოლოოდ შეარჩევს კონტრაქტორ-მშენებელი.

გზმ-ს ანგარიშში განხილული სანაყაროებია:

N1-ზარზმასთან მისასვლელში (არსებული მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი) სანაყარე ტერიტორია კოორდინატები - X – 306416; Y-4616900, არის სახელმწიფო ფონდის მიწა, მცენარეული საფარი არ არის, ტერიტორია გამოყოფილია ნარჩენების განსათავსებლად ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, მდინარე ქვაბლიანიდან 10 მეტრით, გზიდან დაშორებულია 1 მეტრით;

N2 - სანაყარე ტერიტორია კოორდინატები - X – 303657; Y - 4616200 მდებარეობს მდინარე ძინძეს მარცხენა მხარეს, არის ტყის ფონდის მიწა, დაზიანებული ხიდის მიმდებარედ, ტყიდან წიწვოვანი - ნაწილობრივ შერეული ტყე) დაშორებულია 50 მ- ით, გზა მდებარეობს 1 მეტრში;

რეკომენდაციის სახით მოცემული სასანაყარე ფართობების, გეოგრაფიული მდებარეობის, რელიეფის და სხვა პირობების გათვალისწინებით შეუძლებელია პროექტის ფარგლებში განსათავსებელი ფუჭი ქანების მოცულობის(614170მ³) გზშ-ში მითითებულ სანაყაროებზე განთავსება.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტორი კომპანიის მიერ გამოყენებულია გზშ-ს ანგარიშში მითითებული ტერიტორიები, პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ფუჭი ქანების მოცულობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ახალი სანაყაროების მოძიება.

კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოძიებული იქნა 8 სანაყაროს ტერიტორია, მათგან 7 კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიებია, რომელთა მეპატრონეებსაც სურვილი აქვთ, მათი ნაკვეთების კონფიგურაციის შეცვლის (უმეტეს შემთხვევაში მშენებარე გზასთან გათანაბრების მიზნით) და 1 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტერიტორია. ყველა სანაყაროს მოწყობაზე მიღებულია თანხმობა მეპატრონეებისაგან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, ასევე სხვა სამსახურებიდან.

მოძიებული სანაყაროების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილი N1 სახით:

ცხრილი N1

სანაყაროს N	ადგილმდებარეობა	სანაყაროს ტერიტორიის დანიშნულება	ფართობი მ ²	განსათავსებელი ქანების რაოდენობა მ ³	სანაყაროს მოწყობაზე მიღებული ნებართვები
სანაყარო N1	ადიგენის რ-ნი, სოფ. უტყისუბანის მიმდებარე ტერიტორია 61.22.21.084	სასოფლო-სამეურნეო	6327	35000	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი N1776/09, 09.06.2021; 2. მესაკუთრე დავით იაკობიძესთან გაფორმებული ხელშეკრულება.
სანაყარო N2	ადიგენის რ-ნი, სოფ. მლაშეს მიმდებარე ტერიტორია 61.23.21.145	სასოფლო-სამეურნეო	3000	30000	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა -წერილი N 182/09; 29/01/2021; 2. მესაკუთრე იორდანე ჭაღიაშვილთან გაფორმებული ხელშეკრულება.
სანაყარო N3	ადიგენის რ-ნი, სოფ. ზარზმას მიმდებარე ტერიტორია 61.23.21.650	არასასოფლო-სამეურნეო	1820	18200	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა -წერილი N1155/09, 14.04.21 2. მესაკუთრე სიმონ სარიშვილთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

სანაყარო N4	ადიგენის რ-ნი, სოფ. მლაშეს მიმდებარე ტერიტორია 61.23.21.280	სასოფლო-სამეურნეო	1237	12370	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა -წერილი N1197/01; 16.24.21; 2. მესაკუთრე იზა ლობჯანიძესთან გაფორმებულია ხელშეკრულება.
სანაყარო N5	ადიგენის რ-ნი, სოფ. ზარზმას მიმდებარე ტერიტორია 61.23.21.253	არასასოფლო-სამეურნეო	1200	12000	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა -წერილი N1155/09, 14.04.21 2. მესაკუთრე სოსო გახოკიძესთან გაფორმებული ხელშეკრულება.
სანაყარო N6	ადიგენის რ-ნი, სოფ. ზარზმას მიმდებარე ტერიტორია 61.03.23.146 ადიგენის რ-ნი, სოფ. მლაშეს მიმდებარე ტერიტორია 61.03.23.146	არასასოფლო-სამეურნეო	2814,81	15000-20000	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა-წერილი N1707/09, 03.06.2021 2. მესაკუთრესთან- ზურაბ გავაშელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
სანაყარო N7	ადიგენის რ-ნი, სოფ. მლაშეს მიმდებარე ტერიტორია 61.23.21.309	სათიბი	4700	35000	1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობა-წერილი N1681/09, 01.06.2021 2. ნაკვეთის მეპატრონესთან - ჟუჟუნა კოჩალაძესთან გაფორმებულია ხელშეკრულება;
სანაყარო N8	ხულოს რ-ნი, კურორტი ბეშუმბი ს/კ 23.14.35.083	არასასოფლო-სამეურნეო	33441	100000	1. გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო-517/01-15.01.2020; 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 23 აგვისტოს წერილი (სარეგ. N09/8013); 3. აჭარის სატყეო სააგენტოს წერილი N 09/363, 25/05/2021
			51725	257570	

სანაყაროების განთავსება პროექტის მიმართებაში მოცემულია რუკაზე.

სანაყაროების მოწყობაზე მიღებული ნებართვები, და შეიპ ფაილები წარმოდგენილია ელექტრონულად დანართების სახით. სანაყარო N1 - დანართი N1; სანაყარო N2- დანართი N2; სანაყარო N3- დანართი N3; სანაყარო N4- დანართი N4; სანაყარო N5-დანართი N5; სანაყარო N6- დანართი N6; სანაყარო N7- დანართი N7; სანაყარო N8- დანართი N8. რაც შეეხება სანაყაროების ტერიტორიების რეკულტივაციის პროექტებს, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მომზადებული იქნება და წარმოდგენილი სამინისტროში შესათანხმებლად.

სანაყაროების განთავსების ტერიტორიების კონტურის კოორდინატები წარმოდგენილია ცხრილი N2-ის სახით,

სანაყარო N1		
N	X	Y
1	302563.416	4615450.508
2	302571.331	4615497.614
3	302625.777	4615446.802
4	302632.17	4615496.548
სანაყარო N2		
1	303682.121	4616244.609
2	303652.673	4616202.022
3	303662.354	4616189.083
4	303700.876	4616216.307
სანაყარო N3		
1	303722.277	4616311.022
2	303721.5	4616312.939
3	303702.153	4616324.633
4	303699.819	4616320.895
5	303694.181	4616311.789
6	303685.722	4616267.125
7	303680.083	4616255.431
8	303678.82	4616252.652
9	303677.945	4616250.831
10	303685.431	4616242.971
11	303687.083	4616244.217
12	303688.833	4616245.655
13	303689.319	4616246.134
14	303690.875	4616247.764
15	303691.653	4616248.722
16	303699.042	4616258.019
17	303701.861	4616261.278
18	303702.639	4616262.141
19	303703.903	4616263.578
20	303710.611	4616271.438
21	303713.722	4616275.751
22	303715.375	4616277.955
23	303723.833	4616293.578
24	303722.277	4616311.022
სანაყარო N4		
1	302587.96	4615552.81
2	302586.34	4615543.37
3	302585.26	4615539.77
4	302684.88	4615523.94
5	302648.03	4615541.5
6	302622.65	4615554.28
სანაყარო N5		

1	306646.874	4616809.943
2	306608.691	4616820.23
3	306604.61	4616805.575
4	306603.036	4616799.828
5	306641.569	4616790.805
6	306642.794	4616795.287
7	306646.874	4616809.943
სანაყარო N6		
1	302487.70	4615474.87
2	302517.89	4615554.03
3	302533.71	4615523.90
4	302540.34	4615534.11
5	302568.96	4615493.84
6	302562.34	4615455.97
სანაყარო N7		
1	300788.293	4615066.782
2	300773.551	4615067.82
3	300767.584	4615060.208
4	300767.233	4615059.516
5	300749.683	4615010.381
6	300744.067	4614997.232
7	300736.696	4614980.277
8	300731.782	4614966.436
9	300725.113	4614949.481
10	300722.30	4614942.907
11	300719.849	4614935.986
12	300717.041	4614929.412
13	300714.233	4614922.491
14	300711.425	4614915.571
15	300705.107	4614897.232
16	300703.352	4614893.08
17	300701.246	4614889.965
18	300700.895	4614889.273
19	300693.173	4614867.128
20	300691.067	4614856.055
21	300692.822	4614850.865
22	300688.259	4614847.751
23	300680.888	4614846.713
24	300666.497	4614852.249
25	300646.841	4614862.284
26	300639.119	4614867.82
27	300637.013	4614868.858
28	300631.046	4614871.972
29	300619.814	4614879.585
30	300613.496	4614884.429

31	300611.39	4614882.007
32	300656.669	4614848.097
33	300698.087	4614783.391
34	300721.604	4614793.08
35	300696.332	4614838.062
36	300704.054	4614842.907
37	300788.293	4615066.782
სანაყარო N8		
1	296515.4	4611787.921
2	296533.8	4611797.314
3	296536.7	4611804.767
4	296540	4611810.432
5	296542.1	4611819.177
6	296544.1	4611824.082
7	296545.9	4611834.815
8	296547.4	4611840.125
9	296559.9	4611852.746
10	296560.4	4611864.305
11	296565.2	4611871.261
12	296566.7	4611882.525
13	296571.2	4611889.978
14	296568.1	4611894.777
15	296567	4611899.249
16	296568.4	4611907.596
17	296566.7	4611919.664
18	296563.3	4611928.482
19	296566.5	4611944.082
20	296600.5	4611933.587
21	296606.8	4611935.764
22	296609.3	4611938.932
23	296649.5	4611905.28
24	296677.1	4611888.702
25	296714	4611878.052
26	296716.6	4611856.401
27	296712.7	4611818.501
28	296680.1	4611726.054
29	296679.2	4611714.079
30	296627.9	4611700.549
31	296580.5	4611702.949
32	296558.3	4611705.709
33	296542.9	4611713.812
34	296524.1	4611742.095
35	296511.7	4611763.608


მომზადებულია სანაყაროების მოწყობის პროექტები(წარმოდგენილია დანართების სახით), რომელთა გადაწყვეტა მოხდა ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით და მეკატრონეების მოთხოვნების შესაბამისად. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე სანაყაროს მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ განხორციელდება რეკულტივაცია, რაც გულისხმობს მათი დანიშნულების შენარჩუნებას. რეკულტივაციის პროექტები მომზადდება და შეთანხმდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან .

295000

300000

305000

სანაყაროების განთავსების სიტუაციური რუკა



სანაყარო N	აღმოსრულებადგანი	საკადასტრო ქოფი
1	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. პეცოსუანი მიმდებარე ნაპირტყობა	61.23.21.145
2	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. ზარზან მიმდებარე ნაპირტყობა	61.23.21.650
3	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. ზარზან მიმდებარე ნაპირტყობა	61.23.21.126
4	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. პეცოსუანი მიმდებარე ნაპირტყობა	61.23.21.280
5	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. ზარზან მიმდებარე ნაპირტყობა	61.03.23.146 61.03.23.210
6	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. პეცოსუანი მიმდებარე ნაპირტყობა	61.23.21.309
7	პეცოსუანის რ-ნი, სოფ. პეცოსუანის მიმდებარე ნაპირტყობა	61.22.21.084
8	საპეცოსუანის რ-ნი, კარბოთის მუხრანის მიმდებარე ნაპირტყობა	23.14.39.083

295000

300000

305000

ქვბლიყვბლი

█ - სანაყაროების გზა
 █ 3+700 - ქოფიყვბლი
 ~ - მდინარე
 █ - გომჯაქის ნაპირი ტყის გუნების ქვბლი

მოკლე ინფორმაცია პროექტის განხორციელების შესახებ:

განმახორციელებელი:	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
იურიდიული მისამართი:	ალ. ყაზბეგის გამზ. #12, თბილისი, საქართველო
საქმიანობის განხორციელების მისამართი:	ადიგენის და ხულოს მუნიციპალიტეტები
საქმიანობის სახე:	ფუჭი ქანების სანაყაროების მოწყობა
საკონტაქტო პირი:	გია სოფაძე
საკონტაქტო ტელეფონი:	+995599939209
კონტრაქტორი:	შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ად. მიცკევიჩის ქ., №29, კორპ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი	404859122
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	პენგ ჰე
ტელეფონი:	599 52 01 76
ელ-ფოსტა:	liqingyou2013@gmail.com

გარემოზე შესაძლო ზემოქმედება სანაყაროების მოწყობის პროცესში :

ზემოქმედება ლანდშაფტზე: სანაყაროების ტერიტორიები მოძიებული იქნა მშენებარე გზის მთელს პერიმეტრზე. რამდენიმე სანაყაროს მოძიება განხორციელდა იმ მიზნითაც, რომ თავიდან აცილებულიყო დიდი მოცულობის მასების ერთად დასაწყობება, რაც გავლენას იქონიებდა მიმდებარე ლანდშაფტზე . სანაყაროების ტერიტორიები მდებარეობს მშენებარე გზის ან მისასვლელი გზის უშუალოდ მიმდებარედ. უმეტესად გზის მიმდებარე ფერდობებზე და წარმოდგენენ ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიებს. სანაყაროების მოწყობისას ფუჭი ქანების მეშვეობით მოხდება სანაყაროების ტერიტორიების ამაღლება - მოსწორება და მშენებარე გზის დონემდე გათანაბრება. ფუჭი ქანების შეტანის დასრულების შემდგომ მოხდება ამ ტერიტორიების ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია, რაც უზრუნველყოფს ამ ტერიტორიების ლანდშაფტთან შეხამება-შერწყმას.

გეოლოგიური ზემოქმედება: გეოლოგიური დარაიონების მიხედვით სანაყაროების ტერიტორია ძირითადად აგებულია მესამეული ასაკის კონტინენტური წარმონაქმნებით, რომელიც გადაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიური და პროლუვიურ-დელუვიური ნალექების მძლავრი კომპლექსით.

მესამეული წარმონაქმნები წარმოდგენილია პალეოგენის ლოდური ბრექჩიებით თიხურ ცემენტზე, თიხები შრეებით და ნეოგენის ბრექჩიებით და კონგლომერატებით თიხურ-კაბონატულ ცემენტზე. ასევე გვხვდება ვულკანური წარმოშობის წარმოშობის პორფირიტული ტუფოქვიშაქვები და ტუფობრექჩიები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სიმტკიცით და რომელთა გაშიშვლებები ფიქსირდება ზოგიერთ ადგილას.

მეოთხეული ასაკის ნაღებები წაროდგენილია დელუვიური და ელუვიური სავადსხვა კონსიტენცია კარბონატული თიხებით და თიხნარებით კენჭების, ღორღის და ლოდების ჩანართებით 20-35%-მდე, ღორღოვანი გრუნტით თიხნარის შემავსებლით ლოდების ჩანართებით და ალუვიური კაჭარ-კენჭნარით თიხნარის შემავსებლის, ძირითადად ხევებსა და ხეობებში.

გამომდინარე იქიდან რომ სანაყაროებისათვის შერჩეული ტერიტორიები უშუალოდ მშენებარე გზას ესაზღვრება მათი გეოლოგიური პირობები ანალოგიურია . სანაყაროების ტერიტორიების შესწავლისას არ გამოვლინებულა/დაფიქსირდებულა ეგზოგენური გეოლოგიური პროცესების ნიშნები. ასევე, ამ ტერიტორიებზე არ იგეგმება დიდი მასის ქანების განთავსება. შეტანილი ქანების საშუალო სიმაღლე 3-5 მ-ის ფარგლებში იქნება, რაც არ მოახდენს გავლენას ამ ტერიტორიების გეოლოგიური გარემოს ცვლილებაზე.

ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე: გამომდინარე იქიდან, რომ სანაყაროებისათვის შერჩეული ტერიტორიები უშუალოდ ესაზღვრება მშენებარე გზას/ან მისასვლელ გზას, სანაყაროების მოწყობისას ადგილი არ ექნება მოსახლეობაზე და სხვა სენსიტიურ ობიექტებზე ზემოქმედებას. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოხდება მხოლოდ ფუჭი ქანების ტრანსპორტირებისას და დაყრისას. რამდენიმე და სხვადასხვა ადგილზე მშენებარე გზის გასწვრივ შერჩეული სანაყაროები შეამცირებს ფუჭი ქანების დიდ მანძილზე ტრანსპორტირებას შესამაბისად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევული ემისიების რაოდენობას.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შესამცირებლად ფუჭი ქანების ტრანსპორტირება განხორციელდება გადახურული ტრანსპორტით. სანაყაროზე პერმანენტულად განხორციელდება ტკეპნითი სამუშაოები, ხოლო მშრალ ამინდებში განხორციელდება მისასვლელი გზების მორწყვა. ზემოთ აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით და სანაყაროების მოწყობის სამუშაოების მცირე პერიოდულობიდან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ხმაური: სანაყაროების მოწყობისას ხმაურისგავრცელების მთავარი წყაროა მომუშავე ტექნიკა. სამუშაოების მაშსტაბიდან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამშენებლო ტექნიკის გამოყენების ინტენსიობა დაბალია. შესაბამისად დაბალი იქნება ხმაურისა და ვიბრაციის დონეები.

ზემოქმედება ნიადაგურ საფარზე და მიწის რესურსებზე: სანაყაროები განთავსებულია მშენებარე გზის მიმდებარედ, რაც გამორიცხავს ახალი მისასვლელი გზების მოწყობას და შესაბამისად ახალი ტერიტორიების ათვისებას. სანაყაროების მოწყობამდე შესაძლებლობის ფარგლებში(აღნიშნული სამუშაოები გაწერილი იქნება რეკულტივაციის პროექტებში) მოხდება მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დროებით დასაწყობება, ისე რომ გამოირიცხოს მისი გამოფიტვა და დეგრადაცია. მოხსნილი მიწის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება რეკულტივაციის სამუშაოებისას. რეკულტივაციის დასრულების შემდგომ შენარჩუნებული იქნება ტერიტორიის მიწის დანიშნულება და ხარისხი. აღნიშნული სამუშაოების გატარებით მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე: სანაყაროების მოსაწყობი ტერიტორიები არ არის განთავსებული ზედაპირული წყლის ობიექტების დაცვის ზოლში, რის გამოც მათზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სანაყაროებზე მომუშავეთა წყალმომარაგება განხორციელდება ბუტილიზირებული წყლით.

ჩამდინარე წყლები - სანაყაროების ტერიტორიაზე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას არ ექნება ადგილი.

სანიაღვრე წყლები- სანაყაროების ტერიტორიაზე ტერიტორიის მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს საწამოს ტერიტორიაზე წამოქმნილი სანიაღვრე წყლების მიმდებარე ტერიტორიებზე გადინების, ასევე ამ წყლებით გრუნტის წყლების დაბინძურების საფრთხე.

ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე: დაგეგმილი სანაყაროების ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები.

სანაყაროებისათვის შერჩეული ტერიტორიები უკვე გამოყენებული და სახეშეცვლილია. რის გამოც მცენარეული საფარის მხრივ ძალზე ღარიბია. სანაყაროების მოწყობის პერიოდში მცენარეული საფარის დაზიანებას ადგილი არ ექნება ;

ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:

პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. მუნიციპალურ ნარჩენების გატანაზე გაფორმდება ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. პროექტის ფარგლებში სამშენებლო ბანაკში მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

პროექტის ფარგლებში მათ შორის სანაყაროების მოწყობისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის ნარჩენების გეგმის შესაბამისად.

სანაყაროების დამატებით გარემოზე ზემოქმედების დონე მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.

ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე:

სანაყაროების ტერიტორიები არ განეკუთვნება ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიას. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოქმედება მოსახლეობაზე. შერჩეული სანაყაროების სიახლოვეს არ არსებობს მოსახლეობის საცხოვრისები და არ მდებარეობს სხვა ტიპის ობიექტები, რის გამოც სანაყაროების მოწყობისას მათზე ზეგავლენას ადგილი არ ექნება.